საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 10763/01
10/12/2018

10763-01-2-201812101756

შპს „ლილო პროგრესს“

თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას გამზირი,
I კვარტალი, 25 კორპუსი, ბინა 44

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 29 ნოემბრის №15266 წერილით წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრი) მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

წარმოდგენილ განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ტექნიკური დეტალები, კერძოდ: სანიაღვრე და საკანალიზაციო წყლების მართვის საკითხები; დაშორება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან; დაშორება საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით არსებული ინფრასტრუქტურიდან; აგრეთვე შვეულმფრენების საწვავით გამართვის მიზნით ნავთობპროდუქტის საცავი ავზების მოწყობის საჭიროება. ამასთან გთხოვთ, წარმოადგინოთ შპს „ტავურბან ჯორჯიას“ და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს პოზიციები დაგეგმილ პროექტთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული განცხადების წარმოდგენა სამინისტროში შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციით, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013